

კოგუთეი ალთაური ეპოსი

“კოგუთეი” ძველთაძველი ეპოსისა და ზღაპრის შენაზავია. უჩვეულოა ჩვენი გაგებით ზღაპრისათვის მისი ფორმა – ლექსი. უჩვეულოა ეპოსისათვის უხვად ჩართული ზღაპრული მოტივები, სადაც ისევ ძველისძველი მითოლოგიები იმალება. ასეთი შერწყმა ეპოსისა ზღაპართან ნიშანდობლივია ალთაური მოღმის ხალხის ზეპირსიტყვიერებისათვის. ეპიურ (საგმირო) ზღაპარს უწოდებენ “კოგუთეის”.

და რაკი ფორმა ეპიური აქვს ამ ზღაპარს, მას ალთაელი აელი ამღერებდა. სიმღერა ოდითგანვე “სიბრძნის ერთი დარგი” იყო ამ მოღმის ხალხისთვის; მათი წარმოდგენით, ქვეყნად არ მოიძებნებოდა არსი, რომელსაც შეეძლებოდა გულუძრავი დარჩენილიყო სახიობის მაგიური ძალის მიმართ. მის ჰანგებს უსმენდა შვიდი კულა, დრუბლების წვერზე შემომსხდარი; თვით ქვესკნეთური აინა მკერდს ამოსწევდა მიწიდან, რათა მოესმინა ტკბილი სიმღერა.

თავად “კოგუთეიში” და ყველა ალთაურ ზღაპარ-ეპოსში სიმღერა მიუცილებელი მომენტია. ზღაპარი ხომ იმღრება, მაგრამ თვით ნამღერშიც მღერის გმირი. ერთგან ასეა გადმოცემული სიმღერის წინაღუდგომელი და ყოვლისგამმსჭვალავი ძალა: “... და ჩაჰბერა მან სამოცნახევრიან სალამურს სპილენძისას... და ექესი ბუღბუღის ხმაზე ახმიანდა სალამური. ნახავდით, როგორ შეიფოთლა გამხმარი, ზროდამსკდარი ხეები; გაფხეკილ, მოტრამალებულ მიწაზე როგორ ამოსკდა ერთმანეთის მიყოლებით მწვანე ჯეჯვილი... თითქოს მაღალხმიანი ბუღბუღი გალობსო, მოფრინდა სალამურის ხმაზე ფრთოსანი, რაც კი იყო, მოფრინდნენ და დაფარეს ცის თავნი; მოვიდა მხეცი ჩლიქ-გაპობილი, დედამიწის ზურგზე რაც კი ნავარდობდა...”

ძველთაგანვე მაგიურ ძალად შეირაცხებოდა სიმღერა. თურქული მოღმის ხალხებისათვის, რისხვად რომ ევლინებოდნენ დასავლეთს, მუსიკა იყო ნამდვილი კათარზისი, იმ სისხლიანი თაცდასხმენის შემდეგ, რაც მათი თითქმის ერთადერთი საქმიანობა იყო. სიმღერა და მუსიკა უბრუნებდა მათ ადამიანურ სახეს და სიკეთის დვრიტას შეუძრავდა. როცა სალამო ჩამოწვებოდა, ბანაკში მოთარეშე ბელადის წინაშე წარდგებოდა მომღერალი და ამღერდებოდა; სასტიკი მეომრები, აწ ინახად მსხდარნი თითქოს სხვად გარდაიქმნებოდნენ და მაგიურ დუმილში დანთქმულნი მომღერლისკენ მიაპყრობდნენ თვალებსა და გაფაქიზებულ სმენას.

სიმღერა არა მხოლოდ ბალათურთა “მორგვის გულებს” სწვდებოდა, ფიზიკურ გარესკნელშიც იჭრებოდა და ბუნებას ეფინებოდა. არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის მღეროდა ბალათური, არამედ გაზაფხულის მოყვანის იმედითაც მღეროდა. “კოგუთეიში” როცა თავი ახმიანდა, –

შეიმოსნენ შიშველი ხენი,
შეიფურცლნენ ხეთა შტოები,
შეტოკდა სანახი გაძარცული,
მიწის პირს ამოსკდა ბალახი,
ყვავილი ამოფეთქდა კვირტიდან,
კვირტებმა რიურაჟი ამოისუნთქეს,
გუგულებმა იწყეს გუგუნი... –

მღერის ბალათური და მისი ხმა ალთაის (ანუ სამყაროს) ყოველ კუნჭულს სწვდება, ბუნებას აღვიძებს მკედრული ძილიდან – გაზაფხულის მომყვანი სიმღერა. ასე მღეროდა ამფიონი, ორფეოსი, ვეინემეინე, ავთანდილი...

ასეთივე სიმღერაა თავად ზღაპარი “კოგუთეისა”: ისევე, როგორც ის ჯადოსნური სიმღერა, მიწის პირის გამაზაფხულებელი, ეს სიმღერაც “კოგუთეისა” მთავრდება სანეტარო გაზაფხულის სურათით, მარადიული “ალთაის” ხედით; ასე ამთავრებდა ალთაელი აედი თავის ნამღერს:

მის მშობლიურ ალთაიში
ზამთარ-ზაფხულ გუგუნებენ გუგუნები.
მის მშობლიურ ტყეებში
ზამთარ-ზაფხულ ხარობს კენკრა.
მის მშობლიურ ალთაიში
ზამთარს ზაფხულისგან ვერ არჩევენ.
იქ ზაფხული არის მარადი,
იქ ზაფხული მთელი წელი მარადმწვანეა,
თეთრი და ლურჯი ყვავილები ჰყვავიან.

სიმღერა იმარჯვებს ბოროტ ზმთარზე და თავისი ჯადოსნური ძალით კეთილ ზაფხულს ამყარებს. გრძელია არსება სიკეთისა. ეს აზრი გასდევს “კოგუთეის”. ეს ძველთაძველი მითოსური ქარგა ზამთარ-ზაფხულის დაპირისპირებისა, მისადაგებულია ალთაელი ხალხის ისტორიულ წარსულთან. აქ მითოსი და ისტორია შეზავებულია. ორჯერ განიცადეს ალთაელებმა მძლავრობა მონღოლთა – ჩინგიზ-ყაენის დროს და მოგვიანებით დასავლელ მონღოლთა გამოჩენისას, იოროტების სახელით რომ იყვნენ ცნობილნი. ზამთარი უცხო და მტრულ ძალების ბატონობაა ალთაიში, ალთაის ხსნაა – ალთაის გაზაფხული. “კოგუთეიში” გამოვლენილია ეს მითოსურ-ისტორიული ხედვა: ყარათი ყაენი ბატონობს ალთაიზე; ბეჩავ კოგუთეის მისგან წაერთვა საოცნებო ალთაი, რომელიც ბოლოს მისი შვილობილის ქუსქუნ-ყარა-მათირის წყალობით უნდა დაუბრუნდეს.

ახლა ვნახოთ, ვინ არის კოგუთეი. კაცის სახელი მისი წარმოშობის საიდუმლოს ამხელს. “მოლურჯო” – ასე ითარგმნება ეს სიტყვა; ამ სახელით ცნობილია შამანური პანთეონის ღმერთი ჭექა-ქუხილისა. ამავე დროს “ლურჯი” ცის ფერია და თავად ცის გამომხატველი სიტყვაა. ეს მოწმობს ჩვენი გმირის ზეციერწარმომავლობას. კოგუთეი ლურჯი ზღვის ნაპირას ცხოვრობს, ლურჯი ხარის მხედნავია, ლურჯი ხარი კი ლურჯი ზღვის ბატონია ან სული იმ ადგილისა, სადაც ბალათური ცხოვრობს. ბალათური ხშირად მაქციერობს ლურჯ ხარად, ან უკეთუ ლურჯი ხარი გახედნა და მასზე ამხედრდა, იგი უკვე ამ ადგილის ბატონად ითვლება. როგორც ვხედავთ, კოგუთეი ძველთაძველი გმირია მშობლიური მიწიდან ამოზრდილი და ამ მიწის ბატონი. იგი მითოსურ თვისებებს ატარებს, მაგრამ ზღაპრის დასაწყისში კოგუთეი –ძველი ბალათური, დაბეჩავებულია, ყოფა დაუზამთრდა და მისი ალთაიც ზამთრის პირზეა მისული.

ახლო იყო სიბერე მისი,
მოუფამფაღდა ძვლები მაგარი,
თახვისფრად ჩაუყვითლდა კბილები,
გედისფრად გაუთეთრდა თავი,
იწურებოდა ჟამი მისი...

მაგრამ როგორც დაზამთრებული ბუნება, ისევე უძეოდ დაბერებული ბალათური არ არის განწირული საბოლოოდ. შემთხვევით მიგნებულ ფულუროდან კოგუთეის თახვი გამოუხტება. ცხადია, რას მოასწავებს ფულუროს გამოჩენა ზღაპარში: ფულურო ის ბუდეა, სადაც მომავალ გმირს უდევს ბინა, იზრდება, შუშდება ხის სულელების შ მწეობით. ფულუროდან გამომხტარი, თითქოს კვერცხიდან გამოჩეკილი თახვის ბეწვში უძლეველი ბალათურია გამოსხვეული. ამიტომ ცხადია მისი გზაც: საცოლის ძებნა და დანიშვნა აუცილებელია მისთვის და ეს ამავე დროს წარმოადგენს ალთაური ეპოსის ან ზღაპრის განუყრელ კომპონენტს.

დათქმულ ჟამამდე თახვი არ ამხელს თავს, უდრტვინველად იტანს დამცირებას უსამართლო კარატი-კანისაგან (ეს მისი სიმამრია), ქვისლების მუხანათობის ძალით მრავალგზის ვარდება განსაცდელში. მაგრამ დგება ჟამი, როცა თახვის ნამდვილი სახე უნდა გამოცხადდეს. ვინ ყოფილა თახვი? მისი ბედი მესამე ცაში გადაწყვეტილია, მისთვის სახელი სამ სურბუსთანს დაურქმევია – “ქუსქუნ-ყარა-მათირ”, “მხედნავი შმაგი შავრა ცხენისა”.

აი, ვინ ყოფილა ბეჩავი კოგუთეის ნაშვილები:

შავი მთა ასი ჩანჩქერთა –
მამა შენი;
ღურჯი ზღვა ასი უბითა –
დედა შენი.

თახვის ტყავში გახვეული არსება უბრალო მოკვდავი არ ყოფილა, იგი ალთაიდან არის ამოზრდილი, როგორც მამობილი მისი, კოგუთეი; იგიც მამობილივით ალთაის ნამდვილი და კანონიერი პატრონია, იმ ალთაისა, კარატი-კანმა რომ წარიტაცა. მთა – მამა, ზღვა – დედა, ეს უკვე კოსმიური წყვილია. მთები მრავლადაა ალთაიში, ალთაი მთაგორიანია, მაგრამ ზღვა აროდეს უნახავთ მის მკვიდრთ. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ზღვის მოტივე ძველთაგან და შორიდან მოდის, და მითოსური დანიშნულება აქვს (ანალოგიურად სვანთა პოეზიაში ხშირია ამგვარი ზღვის ხსენება).

ასე იბადება ბალათური, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხელახლა იბადება ფულუროდან. არა მხოლოდ მისი ბედი ისახება ცაში, არამედ სახელიც იმ ცხენისა, რომლის მხედნავიც უნდა გახდეს იგი და რომელიც მას უნდა ახლდეს ყოველ გასაჭირში.

ამის შემდეგ იწყება ბალათურის გმირული სვლა, რაიც ვარსკვლავის ან მნათობის მოძრაობას შეჰგავს. ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ამ მხრივ უნიკალურია ალთაური ეპოსი, სხვაგან ვერსად შევხვდებით ამგვარ ტრიუმფალურ სვლას გმირისას. მის წინაშე არ არსებობს დაბრკოლება, იგი საშინელი სისწრაფით მიჰქრის, უქმდება დროისა და სივრცის ჩვეულებრივი სამანები. დრო დღეებით აღარ იზომება, უმცირესი საზომი წელიწადის ალოებია. გატყენებულ ბალათურს არაფერი ახსოვს, იგი თითქოს კოსმიურ საგნად არის გადაქცეული, თითქოს ადამიანი აღარ არის. იმგვარად მიგვლავს, რომ მის შუბლზე დილის აისი ციმციმებს მუდამ, ხოლო ზურგს უკან მუდამ ბნელი დამე რჩება. ეს იმას მოასწავებს, რომ ჟამი უკვე დაძლეულია. იგი ემგვანება სინათლის სიჩქარით გაქანებულ საგანს, რომლისთვისაც მზის ჩასვლა და მზის ამოსვლა ერთდროული აქტებია (“მზის ჩასვლა და მზის ამოსვლად ეჩვენებოდა”). ცხენის გიგანტურმა სრბოლამ დრო გაყინა და უდროობაში გადაიყვანა ბალათური. საით მისწრაფის ის? იქითკენ, სადაც მის წინ მარადიული განთიადი იქნება.

საით მიდის ბალათური, ჩვენი ახლად ფერნაცვალი თახვი, ყარა-ქუსქუნ-მათირი, მხედნავი შავრა კვიცისა? ყაენ-ქერედეს სამფლობელოსაკენ გაუწევია, რომელიც ზეციურ ალთაიში ცხოვრობს. იქ რომ მოხვდეს ადამიანი, ცის რკინის ება უნდა ახლინოს და გაძვრეს ანახლენში. ასე იქცევა კუსკუნ-ყარა-მათირი. ის „ცის ყვითელ აისში შეიჭრა, ცისა და მიწის ნუნებს შორის გაძვრა და მათი წიაღსვლიდ ყველაზე მაღალ ქვეყანაში გავიდა. უკან მოიტოვა წითელ ნუნას შემსგავსებული ცის საფუძველი. თითქოს უზარმაზარი კოსმიური ხახა იღება და იქიდან გამომავალი მზის ხივები ღებავენ მას. და აი, ამ აისის ქვენიდან უნდა წამორეკოს სიმამრის დაკარგული ცხენების რემა.

როგორია ქვეყანა, სადაც ბალათურმა შეაღწია? იქაც ალთაია, მაგრამ არა იმგვარი, ქვემოთ რომ დატოვა. იმ ალთაიში მარადიული გაზაფხულია, იმ აისის შესადარი, რომელიც სულმუდამ წინ უსწრებდა ბალათურის სვლას. ეს არის დაუზამთრებელ-დაუღამებელი ალთაი. მისკენ სვლაში ბალათურმა დროს გაუსწრო, აისი და გაზაფხული წინ მოიქცია, რატა მარადიულად შეძლებოდა მისი ჭვრეტა (როგორც რუსტაველთან: „დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვატა კრთომასა“). ეს ის ქვეყანაა, რომლის აღწერითაც მთვარდება, ჩვეულებრივ, თურქულ-მონღოლური ეპოსი. ამ ალთაის კვლავ ზღაპრის ბოლოს ვიხილავთ, სადაც ბალათური საბოლოოდ დამკვიდრდება. აი, დასასრულის ფორმულა: „წარსული მოაბრუნეს, დღევანდელად აქციეს“, ფორმულა, რომელიც რაღაც ამბის გახსენებისას ითქმის, მაგრამ იგი ეპოსის კომპოზიციის და არსის გასაღებია: თავად ეპოსი დასაბამიერად თქმულის გახსენებაა და მისი დასასრულიც დასაბამიერი წარსულის გახსენებაა.

მაგრამ ახლა კი ბალათურს ყაენ-ქერედესთან შეხვედრა სწყურია. ყაენ-ქერედე მითოსური ფრინველია. ეს იგივე ინდური გარუდაა (“მაჰაბჰარატადან”), უკვდავების სასმელის, ამრიტას მომპოვებელი, რომელმაც ვერაგი გველი შეიძულა, სახელი ამ ფრინველისა, რომელსაც ჩვენ ფასკუნჯს ვუწოდებთ, ინდოეთიდან მონღოლების გზით გადმოვიდა ალთაიში. აქაც იგივე მითოსური ქარგაა, რაც ბევრი ხალხის ფოლკლორში შეგვხვედრია: ჩვე ნს ზღაპრებში ფასკუნჯი და გველეშაპი ერთ ხესთან ცხოვრობენ; ეს ხეც არ არის ჩვეულებრივი ხე, იგი კოსმიური ხეა, რომელიც სამ სკნელს აერთიანებს. ეს აშკარად ჩანს “კოგუთეიში”, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება ცა და მიწა, იქ ალთაის გულია, იქ ლურჯი ზღვის პირას ალვისხეა მსხვილი, რტომრავალი; მის ძირში შვიდთავიან გველს მოუკალათებია; ხეზე ყაენ-ქერედეს ორი ბარტყია მუდამ, რომელთაც ყოველ წელიწადს გველეშაპი სანსლავს. ზღაპრის უსახელო გმირი ზოგჯერ ამირანი, იხსნის გველეშაპისაგან ჯადოსნური ფრინველის მართვეს და მეგობრული კავშირით შეეკვრება მათ მშობელს. შემდეგ მადლიერმა ფრთოსანმა ზღაპრის გმირი ქვესკნელიდან უნდა ამოიყვანოს.

იგივე გზას გადის “კოგუთეის” ქუსქუნ-ყარა-მათირი, რომელიც უმადურმა ქვისლებმა ორმოში ჩააგდეს. ორმო ძველთაძველი მინიშნებაა ქვესკნელისა, იგი ჯოჯოხეთის წინკარია:

ორმოში ჩავარდა იგი,
ვით ფსკერზე შავი ჯოჯოხეთისა..

ბალათური მოკვდა, მისი თეთრი ძელები შავი ჯოჯოხეთის ფსკერზე ყრია. მაგრამ მას სიკვდილი არ უწერია, რაკი მოყვასი ფრთოსანი მოველინება. ქვესკნელიდან ამოდის ბალათური, როგორც ჭაბუკი ღმერთი მომკვდარი და კვლავ აღმდგარი ბუნებისა. შემდგომ ამისა (აუცილებელი იყო, რომ მას ქვესკნელი

გაეწეო) იგი სავსებით გამოავლენს თავის ძალას, რომელსაც აქამდე ფარულად ატარებდა: გაუსწორდება ავ ქვისღებებს, კარათი-კანის ალთაის დააზამთრებს და წავა, გაქრება ბალათური:

ალაგი, სადაც მისი ცხენი იდგა,
დარჩა; ხოლო თვითონ სად წავიდა,
არავინ იცის.

ბალათური თავის ნამდვილ, მშობლიურ ალთაის დაუბრუნდება. მისი ცოლი, ერთგული თემენე-ქო უნდა გაჰყვეს მის კვალს. მაგრამ მან სახიფათო გზა უნდა გაიაროს, რომელიც გოლიათური ერკემლის რქებზე გადის. შორიდან კი ის ერკემალი უზარმაზარ მთად ეჩვენება მზირველს (“წინ შავი მთაა ცად აშხვერილი”), ეს კოსმიური მთაა, შუმერული ექურის მსგავსი, რომლის ყაიდაზე იგებოდა ზიქურათები; თხემი მათი ცას სწვდებოდა, საფუძველი ქვესკნელში იყო ჩაფსკენილი. სამ სკნელს აერთებდა ეს მთა, მაგრამ “კოგუთეში” იგი ვაცის სახითაა გამოცხადებული:

რქები ვაცისა ღურჯ ღრუბლებს ჩხვერავენ,
წვერი ვაცისა მიწას ეწაწება.

ჩვენს ზღაპრებში უზარმაზარი ირემი იქითა ქვეყნის გზაზე დგას, რქები ცამდე აქვს აწვდილი. დაკარგული ქმრის მძებნელი ცოლი შეხვდება ამ ირემს, რომელსაც “ცალი რქა ცაზე მიუბჯენია, ცალი კი დედამიწაზე. ქალმა ირემს ჰკითხა, აქეთ მტრედი ხომ არ გამოფრენილათ (მისი ქმარი მტრედის სახით გაფრინდა; ისიც ჩვენი ბალათურის მსგავსად მაქციერი იყო, ღორის თავი ება. მტრედად იმიტომ გადაიქცა, რომ მისი ნიღაბი ცოლმა ცეცხლს მისცა, როგორც თემენე-კომ თახვის ქურქი). ირემმა უთხრა – მოდი, ჩემს რქებს ზევით აჰყევი და ცაში ავიყვანო” (ღორისთავიანი ბიჭი. ხალხ. სიბრძნე, წ. II).

თემენე-ქომ, მიწიერმა მეუღლემ, მოზებნა თავისი ზეციერი ქმარი. მოძებნა იგი ჩვენგან ხშირად ნახსენებ სანატრელ ალთაიში, სადაც “ზამტარ-ზაფხულ გუგუნებენ გუგუნები”. გუგული შემთხვევითი ფრინველი არ არის: გაზაფხულის ბუნების განუყრელი ფრინველია. სკანდინავიიდან ჩვენი ქვეყნის წიად ალთაიში, ეს იდუმალებიანი ფრთოსანი გაზაფხულის მაცნედ და მომყვანად არის შერაცხილი. იგი მძლავრი ფრინველია – მშვენიერი მძლევარი, როგორც ვაჟა უწოდებს: (იხ. თ. ჩხენკელის “ტრაგიკული ნიღბები”). მისი ნაღვლიანი, მარადმოსანატრებელი ხმა, გულის ფეთქვასავით გამოისმის გაზაფხულის ტყიდან.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ ალთაიში გაზაფხული არ არის მხოლოდ და მხოლოდ წლის სეზონი, დროული არე; იგი ქვეყნის მარადიულ თვისებად არის ქცეული, გაზაფხულის დრო ქვეყნის სივრცეებშია შენივთებული, ამიტომაც ზამთარი და შემოდგომა მას აღარ მიეკარება. “კოგუთეის” ფინალი ეხმაურება მონღოლური ეპოსის “ჯანგარის” პასაჟს, სადაც ქვეყანა ჯანგარეთი ისევეა წარმოსახული, როგორც კუსკუნ-კარა-მათირის ალთაი. “შემოდგომა იქ არ უწყოდნენ, ზამთარიც უცხო იყო მათთვის; ყინვა არ უწყოდნენ, ზამთარიც უცხო იყო მათთვის; ყინვა არ უწყოდნენ გამყინავი, ზამთარი არ უწყოდნენ გამტანჯავი”.

ამ სამოთხეში მოხვედრილმ აარსმაც ფერისცვალება უნდა განიცადოს. მისმა მკვიდრმა მარადიული ალტაის შესაფერი სახე და ფერი უნდა შეიმოსოს. ამიტომ გასაკვირი და მოულოდნელი არაა, რო თემენე-ქოს განმშვენება მითოსური სახეებით არის გადმოცემული:

ღაწვეები მისი, როგორც წყვილი გარიჟრაჟი
აბრიალდება,
ძუძუები მისი მრგვალ გორაკებს დაედარა.
სახე მისი, როგორც მთვარე გაივსო,
როგორც მზე გაბრწყინდა.

აქ ერთდროულად იხატება ქალწულის სახე და გაზაფხულის არე. მითოსური დასაბამი მხატვრული სახეებისა ცხადად ჩანს “კოგუთეში”. “მთათა მწვერვალები ქალწულთა ძუძუებივით ამობურცულან”, – ნათქვამია სხვაგან. ალთაელთათვის მიწა დედამიწაა, ანდა ქალწულია დედად მყოფადი (ასევე ბერძნებთან კორე – ქალწული და დემეტრე – დედა ერთი მარადი ქალის ორი ასაკია). ამიტომაც ტემენე-კოს ძუძუები მრგვალ გორაკებს დაედარა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ეს დახასიათება; ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ შეიძლება აქ გავიხსენოთ მოკემის მოთხრობის („წვიმა“) მოულოდნელი დასასრული, სადაც შინაარსს იძენს გმირის მიერ სიზმრად ნანახი ნებრასკის ბორცვები.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყურება ზეციერ სამშობლოში დამკვიდრებული ბალათური – ქუსქუნ-ყარა-მათირი. მისი ფერისცვალება ძუნწად არის გადმოცემული, მაგრამ მრავლისმეტყველია; როცა ბალათური შინ ბრუნდება, ამით ჩვენ გვემცნობა აგრეთვე მზის ამოსვლა:

წითელი, როგორც ცა, აენთო რიჟრაჟი,
მზე ამოვიდა.
სინათლის მძივები აროკდა მიწაზე;
მხედნავი შმაგი შავრა ცხენისა,
ქუსქუნ-ყარა-მათირი შინ შემობრძანდა.

მზე და ბალათური ერთად შემოდინან ალთაიში. ეს იმას მოასწავებს, რომ იგი უკვე მზის წილია, სავსებით განცხადებული უკვე თავის უკანასკნელ არსში. ახლა უკვე ადვილი წარმოდადგენია, როგორ დაიხატება ამგვარი გმირის სიკვდილი; ამის მაგალითს ჩვენი ხოგაის მინდი გვაძლევს: “მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ხოგაის მინდი კვდებოდა...” მზე ქვესკნელში მიდის. ასე წავა მზესთან ზიარი ბალათური კვლავ ქვესკნელისაკენ, რათა შემდგომში კვლავ ფულუროდან გამოხტეს და ისევ გაიმეოროს ამქვეყნიური წვალება, დამცირება და მოულოდნელი ფერისცვალება.

“კოგუთეის” ფინალი გვამცნობს, რომ ალტაელი ხალხის, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხის მსოფლშეგრძნება იმედით არის გამსჭვალული, იმედიანად გაჰყურებს გზას წუთისოფლის ზამთრიდან წუთისოფლის გაზაფხულამდე. აქ წარმოსახულია სურათი მომავლისა, თუმცა ალთაური ძირიდან არის ამოქარგული, მაგრამ ზოგადკაცობრიულ ნიშნებს ატარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ეთნოტოპონიმი ალთაი ზოგადად ქვეყნის (კაცთა სამყოფელის) მნიშვნელობით იხმარება მათ ეპოსსა და ზღაპრებში; პირველქმნილი მხარე დასაბამითვე ეროვნული ფერით არის შეფერილი. ასევე სიტყვა “ქართული” ჩვენ სხალხურ სიტყვა-თქმაში ყველასთვის გასაგები, ნათელი, საკაცობრიო და ჰუმანური სიტყვის გამომხატველია. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გაგვახსენებს, რომ ჭეშმარიტ ეროვნულში იმთავითვეა ჩადებული ზოგადკაცობრიული დვრიტა.